ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. შემიძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა, თუ სადოქტორო დისერტაციის დაცვა მქონდა კონკურსის გამოცხადებამდე, მაგრამ ხარისხი არ მქონდა მონიჭებული კონკურსის გამოცხადების დღისთვის?

პასუხი: არა, კონკურსის პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერი უნდა იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში.

2. დისერტაცია დაცული მაქვს, მაგრამ დიპლომი ჯერ არ ამიღია. როგორ მოვიქცე?

პასუხი: წარმოადგინეთ ცნობა, რომელიც დაადასტურებს თქვენს დოქტორის ხარისხს და ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსს.

3. სავალდებულოა თუ არა, მენტორი იყოს მასპინძელი დაწესებულების პერსონალი?

პასუხი: დიახ, კონკურსის პირობების თანახმად, მენტორი უნდა იყოს მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

4. აუცილებელია თუ არა, რომ მენტორი დარეგისტრირებული იყოს GMUS-ში?

პასუხი: დიახ, აუცილებელია.

5. სავალდებულოა თუ არა, რომ ახალგაზრდა მეცნიერს ჰყავდეს კონსულტანტი?

პასუხი: კონკურსის პირობების თანახმად, კონსულტანტის ყოლა სავალდებულო არ არის.

6. ვინ შეიძლება იყოს ახალგაზრდა მეცნიერის კონსულტანტი?

პასუხი: კონკურსის პირობების თანახმად, კონსულტანტი შეიძლება იყოს საქართველოში ან უცხო ქვეყანაში მოღვაწე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

7. აუცილებელია თუ არა, კონსულტანტი დარეგისტრირებული იყოს GMUS-ში?

პასუხი: არ არის აუცილებელი.

8. სავალდებულოა თუ არა, რომ კონსულტანტი იყოს მასპინძელი დაწესებულების წარმომადგენელი?

პასუხი: არ არის სავალდებულო, რომ კონსულტანტი იყოს მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

9. სავალდებულოა თუ არა, წარმოდგენილი იყოს კონსულტანტის ცნობა სამსახურიდან?

პასუხი: საქართველოში მოღვაწე კონსულტანტის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა - 2024 წლის მდგომარეობით საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია. უცხოეთში მოღვაწე კონსულტანტის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა - 2024 წლის მდგომარეობით ან/და ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული, საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია.

10. ვინ შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალი?

პასუხი: ბაკალავრიატის სტუდენტი, ბაკალავრი, მაგისტრანტი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი და მასპინძელი დაწესებულების ლაბორანტი.

11. სავალდებულოა თუ არა, პროექტში ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი?

პასუხი: არ არის სავალდებულო.

12. აუცილებელია თუ არა, დამხმარე პერსონალი იყოს მასპინძელი დაწესებულების წარმომადგენელი?

პასუხი: აუცილებელია იმ შემთხვევაში თუ დამხმარე პერსონალი არის ლაბორანტი.

13. მაქსიმუმ რამდენი შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალის ანაზღაურება წელიწადში?

პასუხი: დამხმარე პერსონალის შრომითი ანაზღაურების ოდენობა არ არის შეზღუდული კონკურსის პირობებით.

14. დამხმარე პერსონალის ხელფასი იბეგრება?

პასუხი: დიახ, დამხმარე პერსონალზე უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები და შესაბამისად ანაზრაურება იბეგრება.

15. აუცილებელია თუ არა, პროექტს ჰყავდეს მასპინძელი დაწესებულება?

პასუხი: დიახ, აუცილებელია.

16. შესაძლებელია თუ არა, მასპინძელი დაწესებულება არ იყოს საქართველოში რეგისტრირებული?

პასუხი: არ არის შესაძლებელი, კონკურსის პირობების თანახმად, მასპინძელი დაწესებულების სტატუსით კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ), კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ), აგრეთვე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

17. როგორ უნდა წარმოვადგინოთ CV-ები?

პასუხი: ახალგაზრდა მეცნიერი და მენტორი ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში, ქმნიან „მეცნიერის პროფილს“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV-ები, ექსპორტირდება და იტვირთება პროექტში; **CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურ ენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით.** კონსულტანტის CV შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმატით და მისი ქართული თარგმანი არ საჭიროებს დამოწმებას თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

18. აუცილებელია თუ არა მასპინძელი დაწესებულების თანხმობის წერილის წარმოდგენა იმ შემთხვევაში, თუ ვიყენებ მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას?

პასუხი: არ არის აუცილებელი, თანხმობის წერილი უნდა წარმოადგინოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იყენებთ სხვა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

19. სავალდებულოა თუ არა, დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე?

პასუხი: დიახ, სავალდებულოა.

20. ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტში ექსპედიციაში შეიძლება თუ არა წავიყვანო ჩემთან ერთად კონსულტანტი, მენტორი ან დამხმარე პერსონალი და ბიუჯეტში შევიტანო თანხა ორ ადამიანზე?

პასუხი: კონსულტანტის და მენტორისთვის რაიმე სახის ხარჯის გაწევა აღნიშნული გრანტით არ შეიძლება. ექსპედიციის ფარგლებში დამხმარე პერსონალის წაყვანა და საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯების ქვემუხლით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა დამხმარე პერსონალზე შეგიძლიათ.

21. რომელი კატეგორიიდან გავწიო უცხოური ლიტერატურიდან თარგმანისათვის საჭირო ხარჯები?

პასუხი: კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული აუცილებელი მომსახურების ხარჯები შეგიძლიათ გაწიოთ კვლევითი საქმიანობის ხარჯების მუხლის "ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯების" ქვემუხლით. შესაბამისად უნდა განახორციელოთ თარგმნის მომსახურების შესყიდვა.

22. სად შეიძლება გავწერო კონსულტანტის და მენტორის პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით არსებული ხარჯები?

პასუხი: კონკურსი არ ითვალისწინებს კონსულტანტის და მენტორის ხარჯების დაფარვას.

23. სად შეიძლება გავწერო ლაბორატორიულ ანალიზთან დაკავშირებული ხარჯები?

პასუხი: ლაბორატორიული ანალიზის ხარჯები უნდა გაითვალისწინოთ კვლევითი საქმიანობის ხარჯების მუხლში, "ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯების" ქვემუხლში.

24. სად გავითვალისწინოთ 3D სკანერისა და სხვა აპარატურის შესყიდვის ხარჯები?

პასუხი: 3D სკანერისა და სხვა აპარატურის შესყიდვის ხარჯები უნდა გაითვალისწინოთ

კვლევითი საქმიანობის ხარჯების მუხლში, "კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის ხარჯების" ქვემუხლში.

25. სად გავითვალისწინოთ ლეპტოპის შეძენის ხარჯები?

პასუხი: ლეპტოპის ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ კვლევითი საქმიანობის ხარჯების მუხლში "კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის" ხარჯების ქვეკატეგორიაში.

26. უცხოელი კონსულტანტის შემთხვევაში შესაძლებელია, თუ არა მისი ჩამოსვლის ხარჯების დაფარვა ბიუჯეტიდან?

პასუხი: კონკურსის პირობების მიხედვით, პროექტის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს უცხოელი კონსულტანტის ჩამოსვლის ხარჯების ანაზღაურებას.

27. ბიუჯეტის რომელ მუხლში შეიძლება გაიწეროს საარქივო მომსახურების ხარჯები?

პასუხი: საარქივო მომსახურების ხარჯები უნდა გაწეროთ „ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯების“ მუხლში.

28. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ანგარიში ყოველი საანგარიშო პერიოდის შემდეგ ბარდება თუ ყოველი წლის ბოლოს?

პასუხი: ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება შესაბამისი პერიოდის ანგარიშის წარდგენა.

29. აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენს თუ არა მონოგრაფიის დაბეჭდვა?

პასუხი: არ არის აუცილებელი.

30. რომელ საანგარიშო პერიოდში უნდა დაიბეჭდოს სტატია?

პასუხი: ახალგაზრდა მეცნიერმა სტატიის გამოქვეყნება/დაბეჭდვა უნდა დაგეგმოს სტატიის მასალების მომზადების გონივრული ვადების გათვალისწინებით.